ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**№68. 68260589**

თარიღი:**27/02/2026**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

ა) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ლურსმანაშვილი კობა - მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე

ჭიპაშვილი ვარლამი - მერის პირველი მოადგილე -თანათავმჯდომარე

დევდარიანი დავითი - მერის მოადგილე

გოლუბიანი კახაბერი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

კვინიკაძე მარინა - იურიდიული განყოფილების უფროსი

შარიქაძე პეტრე - ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყ. სამსახურის უფროსი

იჩქიტიძე ზურაბ - სახელმწიფო შესყ. და მატერიალურ-ტექნიკ. სამსახურის უფროსი

კიკნაძე ნანა -ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლურსმანაშვილი ინგა -ეკონომიკისს და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

ჩხეიძე ირინა -კულტურის, განათლების სპორტ. და ახალაგზრდ. სამსახურის უფროსი

ბანცაძე ზურაბი - ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

მაღლაკელიძე ნინო -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ

დვალიშვილი ეკა - საფინანსო-სახაზინო განყოფილების სპეციალისტი

შარიქაძე ვასილი - საფინანსო-სახაზინო განყოფილების სპეციალისტი

ბერაძე ინგა - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

ლალი ვაქერ-სებისკვერაძე- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი

ბ) 2026-2027 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი *N1-ის* შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო განაცხადის ფორმები *N 2-4* დანართების შესაბამისად.

დ) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N5-6 დანართების შესაბამისად.

2. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2027 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში საპილოტე პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ასპექტების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი;

გ) აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა თანასწორობის საბჭოსთან და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;

დ) სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილი იქნას ქალთა და ბავშვთა თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები) და ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა;

3. საფინანსო სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. სამუშაო ჯგუფი იკრიბება არანაკლებ ორ თვეში ერთხელ, შეხვედრაზე განხილული იქნება განხორციელებული აქტივობები და დაიგეგმება შემდგომი ღონისძიებები.

5 . ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობასა და შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერის პირველ მოადგილეს (ვარლამ ჭიპაშვილი).

6. ბრძანება ძალაშია 2026 წლის 1 მარტიდან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი